საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

03/06/2022
N 09-02-16/308

308-09-02-16-2-202206031641

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე
ბატონ თორნიკე რიჟვაძეს

სადეპუტატო კითხვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, გვაცნობოთ ,,ოცნების დასახლებაში“ მცხოვრები ოჯახებისათვის საცხოვრებელი ბინების გადაცემასთან დაკავშირებით:

1. რა კრიტერიუმებით მოხდება ბენეფიციარების შერჩევა. არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელითაც დამტკიცებულია კრიტერიუმები;
2. გთხოვთ მომაწოდოთ კრიტერიუმების დასადგენად შექმნილი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლი, ამავე კომისიის სხდომის ოქმების ასლები, მათ შორის კრიტერიუმების განსაზღვრის გადაწყვეტილება;
3. იმსჯელა თუ არა კომისიამ იმ ოჯახების მომავალზე, რომელბიც ვერ აკმაყოფილებენ დადგენილ კრიტერიუმებს და რა გადაწყვეტილება მიიღო?
4. აჭარის ა.რ მთავრობა აცხადებდა, რომ იქ მცხოვრები ყველა ოჯახი მიიღებდა საცხოვრებელ ბინას. გთხოვთ გვაცნობოთ რა გადაწყვეტილება მიიღეთ იმ ოჯახების შესახებ, რომელბიც ვერ აკმაყოფილებან უკვე დადგენილ კრიტერიუმებს?

5. დაგეგმილია თუ არა მიმდინარე წლის ან გათვალისწინებულია თუ არა 2023 წლის ბიუჯეტით ოცნების დასახლებაში ახალი საცხოვრებელი ბინების მშენებლობა, გარდა იმისა რომელიც უკვე დაწყებულია?
6. იმსჯელა თუ არა კომისიამ ან აჭარის მთავრობამ ოცნების დასახლებაში მცხოვრები ოჯახების დასაქმებაზე, პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებაზე? ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები;
7. გათვალისწინებულია თუ არა ოცნების დასახლების ტერიტორიაზე სკოლის, საბავშვო ბაღის მშენებლობა, გთხოვთ გვაცნობოთ დაფინანსების წყაროების შესახებ, წლების მიხედვით;
8. რა ფორმით იყო/არის ჩართული აჭარის ა.რ უმაღლესი საბჭო ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებაში? გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები;

პატივისცემით,

გია აბულაძე

საბჭოს წევრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები